№ 221 31 ღვინობისთვე, სამშაბათი 1866—1878 31 ღვინობისთვე, სამშაბათი № 221

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამიო ღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: თელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

УЖЕ ДЛЯ ПЯТНАДЦАТЬ ЛЕТ

ДРОЕБА

ЦАЛКЕ ЕРОВЕРИ ДИРЕ ШАУРАТ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცისფერითი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ПИРВЕЛИ ЕНКЕНИСТВИДАМ
АМ МДГОМАРЕ ГЛИС ДАМЛЕВАМДИН

„ДРОЕБА"

ДИРЕ САМ МАНЕТАД

ПИРВЕЛИ ДВИНОБИСТВИДАМ ГЛИС ДАМЛЕВАМДИН—ОР МАНЕТАД.

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: **რედაქციაში,** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამიოალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

საქართველო

უფ. ივ. იაგ. ზუბალოვს

ჩვენ გათავებული და მორჩომილი გვეგონა ეს საქმე. ბეგონა, უფ. ზუბალოვი თავს გვანებებს, რადგან დარწმუნდა, რომ იმას თავის-თავის გამართლება და ჩვენი გამტყუენება ვერ შეუძლიან.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ შემცდარი ვყოფილვართ: იმდენი მხნეობა შერჩენია, რომ კიდევ ხმას იღებს! მით უფრო გვაკვირვებს ეს გარემოება, რომ როგორც პირად ჩვენთან მოლაპარაკების დროს, აგრეთვე გამოძიების დროსაც გატყდა ის, რომ ყველაფერი, რაც კი „დროებაში" ეწერა იმის მოქმედებაზე და რასშიაც ჩვენი დუშელი კორრესპონდენტი ამტყუენებდა, ბრალი, გაუზვიადებელი და ჭეშმარიტი გამოდგა. ღღევანდელს „თფილისის მოამბეში" (№ 248) დაბეჭდილია უფ. ივ. იაგ. ზუბალოვის წიგნი, რომელშიაც ის ერთხელ კიდევ აღიარებს თითქმის ყველაფერში თავის სიმტყუენეს, მაგრამ ამ წიგნის ბოლოს ამბობს, რომ „მე ჩემი თავის დამდაბლებად მიმაჩნია დავარღვიო ეს ბეჭდვითი „დანოსიო" (დაბეზღება).

რადგან იმ კორრესპონდენციების დაწერა მე ვიკისრე, ამის გამო ზემო-ხსენებული სიტყვა მე მეკუთვნის. მაშ ჩემი ვალდებულებაა დაუმტკიცო უფ. ივ. იაგ. ზუბალოვს რომ ლიტერატურა არ ისვრის ხელს „დანოსებით", რომ „დროების" ფურცელზე არასოდეს არ ჰქონია ადგილი არც „დანოსს" და არც ცილის-წამებას და რომ ყველაფერი, რაც დუშეთის კორრესპონდენციებში იყო მოხსენებული უფ. ზუბალოვზე, იყო ნამდვილი და ჭეშმარიტი.

ა). კორრესპონდენციაში იყო ნათქვამი, რომ უფ. ზუბალოვმა მის მაგიერ, რომ თვითონ წასულიყო სოფელში და იქ მოეხდინა მოხელეების ამორჩევა, დუშეთში მორეკა ბაზალეთის საზოგადოების ხალხიდა იქ მოახდინა ამორჩევაო.

უფ. ზუბალოვი ამბობს, რომ, არათუ მარტო ბაზალეთის საზოგადოებიდგან, ქვავილის საზოგადოებიდამაც მორეკე ხალხი დუშეთში და აქ ამოვარჩევინე მოხელეებიო!

ბ). „დროებაში" იყო მოხსენებული, რომ იმან მოიხმო მღ. მიხეილ ბერძენოვი უეზდის უპრავლენიაში და საქვეყნოთ გაურისხდა, გაუწყრაო მხოლოთ იმისთვის, რომ როგორ გაბედე და ქრისტეს აღდგომის დღეს არ გაძოცხადდი ჩემთან, მთავრობის წარმომადგენელთანაო!

უფ. ზუბალოვი გამოძიებაშიაც და „თფ. მოამბეშიაც" გატყდა, რომ ეს სრული ჭეშმარიტება არისო!

გ). „დროებაში" იყო გამოცხარებული, რომ უფ. ზუბალოვი თავის კერძო საქმეებისათვის ჰგზავნის ჩაფრებს (ერთმა ჩაფარმა უწყების მიუტანლობაზე იმით გაიმართლა თავიო, რომ უფ. ზუბალოვმა ერბო გამატანა მცხეთაშიო.)

ფ. ზუბალოვი ამბობს, რომ მართალია, ჩაფრებს ხშირად არ ვაძლევ მომრიგებელ მოსამართლესაო; მართალიაო, რომ ერთხელ ერთი ჩაფარი ერბოთი თუ საათით იყო გაგზავნილი დუშეთიდამაო. ამის თაობაზედ საჩივარიც არის ჩემსა და უფ. მომრიგებელ მოსამართლეს შუაო!

დ). „დროებაში" იყო ნათქვამი, რომ ერთს სოფელში უფ. ზუბალოვის ჩაფრებმა, ბეგარაზე გამოუსვლელობისათვის, ქვაბები და სხვა ავეჯეულობა წაართვეს გლეხებსაო და ამათგან ხალხის ცემატყეპაც ბევრიაო.

უფ. ზუბალოვმა სთქვა გამოძიებაში, რომ არ ვიცი ეს ამბავი მართალია, თუ არაო, მაგრამ ეს კი ნამდვილიაო, რომ ერთს ჩაფარს საჯაროთ ვსცემე, რადგან იმას გლეხისთვის ქრთამი ეთხოვაო.

ე). „დროებაში" იყო ნათქვამი, რომ ერთს მთის სოფლის საზოგადოებაში უფ. ზუბალოვმა მათრახით მოახდინა მოხელეების ამორჩევა, ხალხს სცემოო.

მხოლოდ ამ გარემოებაში სრულიად არ გატყდა უფ. ზუბალოვი; მაგრამ იმის ჩვენებიდამ ცხადათ ჩნდა, რომ „დროება" ამაშიაც სრულიად მართალი იყო. აი უფ. ზუბალოვის ჩვენება გამოძიების დროს:

ქობის საზოგადოებაში მამასახლისს თუ სუდიებს ირჩევდნენ. მე მიველი იქ და ვნახე, რომ ხალხი დამთვრალი იყო, ყაყანობდა და პარტიებად ყოფილიყო: ერთი პარტია ერთს მამასახლისს თხოულობდა, მეორე—მეორეს. მე დავიწყე ჰაერში მათრახის ქნევა აქეთ-იქით, დავაჩუმე ხალხი, დავასახელე ძველი მამასახლისი და უთხარი ხალხს: ეს ამოირჩიეთ-მეთქი. იმათაც დამიჯერეს და ჩემი კაცი ამოირჩიეს.

როგორ მოგწონთ ეს „ჰაერში მათრახის ქნევა" უფ. ზუბალოვისაგან?

„ჰაერში მათრახის ქნევა" ვის გაუგონია, რა არის? თანმადგომობის კაცმა, ნამეტურ უფ. ზუბალოვისთანამ, დამთვრალი, მოყაყანე გლეხები დაინახოს ჩვენში და მათრახი მარტო ჰაერში გაიქნიოს და ერთი იმის წვერი მაინც არ აგემოს გლეხის ზურგს—ამას ჩვენ არ დავიჯერებთ....

აი „დროებაში" მოყვანილი ფაქტები და ესეც უფ. ივან იაგორიჩ ზუბალოვის თავის გამართლება! მითხარით ახლა—ვინ სტყუის: „დროება" თუ უფ. ზუბალოვი, რომელიც ყველაფერში თითონვე გატყდა, მაგრამ რომელიც კიდევ ჰბედავს „დანოსის" ხსენებას?

ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა, რომ უფ. ზუბალოვმა ინება უკან წაღება თავის საჩივრისა. სამწუხაროა იმიტომ, რომ ჩვენ სასამართლოს წინაშე, მოწმებითა და ნაწერი, ოფიციალური ქაღალდებითა და დოკუმენტებით შეგვეძლო დაგვემტკიცებინა იმისთვის, რომ „დროებაში" იმის მოქმედების შესახებ ერთი სიტყვაც არ იყო ბრუდი და უმართლო. ჩვენ შეგვეძლო დაგვემტკიცებინა უფ. ზუბალოვისთვის, რომ იმის სამსახურის აღსრულებაში საკმაო ცოდვები მოიპოვება და რაც დავასახელეთ, ის ჭეშმარიტია და არა „ბეჭდვითი დანოსი", როგორც ბრძანებს.

მაგრამ ჩვენი დამტკიცება და მოწმებისა და დოკუმენტების მოყვანა რალათ იყო საჭირო, როდესაც თვითონ გატყდა ყველაფერში!

ერთი კითხვაც უფ. ზუბალოვს.

პროკურორთან შეტანილს საჩივარში

თქვენ ამბობთ, რომ გთხოვეთ სამართალში მიეცით „Droebaში“ დაბეჭდილის კორრესპონდენციების ავტორიო და თუ რედაქტორმა არ დაასახელოს ის, ამ შემთხვევაში უმორჩილესად გთხოვეთო, რომ თვითონ „Droebis“ რედაქტორი მიეცით სამართალში და ჩემი შეურაცხყოფისა და ცილის-წამებისათვის (1535 მუხლის ძალით) დასაჯეთო.

რედაქტორმა არ დაასახელა თავის კორრესპონდენტი, და თქვენთვის ეს გარემოება საკმაო იყო, რომ თქვენი საჩივარი უკანვე წაგეღოთ!

აკი თხოულობდით, თუ რედაქტორმა არ გამოააშკარავოს კორრესპონდენტი, თვითონ ის დასაჯეთო? რაღათ გადადეგით თქვენს სიტყვაზე, ოფიციალურად გამოცხადებულს თხოვნაზე? ნუ თუ მარტო იმიტომ, რომ უფ. ს. მესხმა და არა სხვამ ვინმე მოგაყენა თქვენ „შეურაცხყოფა და ცილი გწამათ“, ამ შეურაცხყოფასა და ცილის-წამებას ძალა და მნიშვნელობა დაეკარგა თქვენს თვალში? თქვენი ღირსებისა და პატიოსნების დაცვა გინდოდათ, თუ მაინც-დამაინც სხვის გამტყუენება?

აქედამ ერთი ცხადი დასკვნა გამოდის, თითონ თქვენ აღიარეთ თქვენი ღირსება შეურაცხყოფილად, სთქვით—ცილი მწამესო, და ბოლოს უარი გამოიცხადეთ—თავის თავის დაცვაზე. თქვენს თვალში თქვენ შეურაცხყოფილი დარჩით.. სხვები კი დარწმუნდა, რომ აქ ცილის-წამება არ უნდა იყოს, თორემ უფ. ზუბალოვი თავის გამართლებას მოინდომებდა და კიდეც 'მეიძლებდაო!...

ს. მ.

ДЕЛИУРИ

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ, დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის გარდაწყვეტილებით, უფ. თფილისის ღუბერნატორს მიუწერია ყველა უეზდის უფროსებისათვის, (გარდა თიონეთისა) რომ ცხენები მხოლოთ იმ პირობით დაურიგეთ ხალხსაო, რომ პავოსკები და ფურგუნები გამართონო' რადგან სახელმწიფო ნივთებისა და სამხედრო მასალების გადასატან-გადმოსატანად არის საჭირო ეს პავოსკები და ფურგუნებიო.

ეს განკარგულება მართლაც ყველგან გამოუცხადებიათ უეზდის უფროსებს. მაგრამ ხალხს თითქმის ყველგან საძნელოდ დაუნახავს თავისთვის ამ პირობის მიღება და ამის გამო ბევრს სოფელში პირ-და-პირ უთქვამსთ, რომ, რადგან ჩვენში ასეთი გზებია, რომ ფურგუნები და პოვოსკები ვერ იელიან და არც ვიცით ჩვენ ამათი მოხმარება, ამის გამო არ შეგვიძლიან ამ პირობით ცხენების მიღებაო.

ძუთაისის გუბერნიაში კი, როგორც ვიათ გლეხებისათვის: დაურიგებიათ ცხენები და გამოუცხადებიათ—როგორც გერჩიოსთ, ისე მოიხმარეთო. ამას წინეთ იწერებოდნენ კიდეც, რომ ძუთაისის უეზდის რამდენმამე სოფელმა გადაწყვეტაო, რომ გაჰყიდონ მთავრობისაგან მოცემული ცხენები და აღებული ფულით შკოლა გამართონ ანუ სასოფლო ბანკიო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ, თელავის მაზრის გარდა, თფილისის უეზდშიაც მომხდარა ზოგიერთი უწესოება სამხედრო უწყების ცხენების დარიგების დროს. სხვათა შორის, გამოძიებას აღმოუჩენია რომ სართიჭალის საპრისტავოში ეს ცხენები დაუცველიათ, კარგი ცხენები თვითონ წაუყვანიათ და ცუდები კი ხალხისათვის დაურიგებიათ. ამ საქმის გამოისობით, როგორც ნამდვილად შევიტყეთ. სამსახურიდამ დაუთხოვნიათ სართიჭალის პრისტავი და სამართალშიაც მიუციათ.

*** თუ სადამდინ მიაღწევს ჩვენი ქალაქელი კინტუა-ავაზაკების მხნეობა და გამბედაობა—შემდეგი ორი მაგალითიდამ დაინახავთ:

ამ დღეებში ერთი ქართველი მეურმე სტიროდა და ჩიოდა ბაზარში, რომ ურმით ღვინო მომქონდაო და ერთი ტიკი ღვინო ვილამაც მამპარა ქუჩაშიო!'

მეორე მაგალითი კიდევ უკეთესია: ერთი გლეხი იდგა პურის მეიდანზე და ქალალდის ფული ეჭირა ხელში. შეცრად ვიღაც კინტომ ჩამოურბინა წინ, გამოსტაცა ხელიდამ ის ფული (ორი თუმანი) და, სანამ გლეხი გონზე მოვიდოდა, გაიქცა, გაძვრა-გამოძვრა სადღაც და თუმცა ბევრი ეძიეს მაგრამ ვეღარ იპოვნეს, იმის კვალიც გაჰქრა... ეს ამბავი მოხდა დღისით, თითქმის შუადღეზე! ღამე რაღა უნდა გვიკვირდეს?!

*** ფოთიდამ გვწერენ, რომ ამჟამად ჩვენი ქალაქი ძალიან გაცხოველებული არისო, რადგან ხალხი დაბრუნდა და მაღაზიებისა და დუქნების პატრონებმა ისევ დაიწყეს ჩვეულებრივად ვაჭრობაო. მაგრამ სახლებს კი აღარავინ აღარ აშენებს, რადგან ეშინიანთ, ვაი თუ ბათუმის შეძენის შემდეგ ფოთი დავარდეს, ვაი თუ ბათუმის რკინის გზამ აქ არ გამოიარესო.

თუმცა ორმი გათავდაო, გვწერენ, და სიიაფე უნდა ჩამოვარდნილიყოვო, მაგრამ ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერს არ დაუწევია მაგდენათ ფასიო. სიმინდის ფქვილი ფოთში ამჟამად თურმე ოთხ გირვანქა-მაურათ, ხორცი—12 კაპ. შეშა საჟენი—18 მან. ნახშირი ფუთი—80 კაპ. თუმცა ხორცისა და პურის ტაქცია არისო, მაგრამ ვისაც როგორ უნდა, ისე ჰყიდისო.

რამდენიმე სურათი ხევსურეთის ცხოვრებიდან

(ბაგრძელება)

ნათელას ტანზე ეცვა შავის წმინდის და მტკიცე შალის კაბა; კაბა, მაგრამ ჩვენებურ კაბასავით კი არ იყო ის გამოჭრილი, არამედ წარმოგვიდგენდა ფართოს და გრძელს პერანგს კარგა მოზრდილათ ამოჭრილი საყელოთი, რომელიც მარჯვენა მხარზე ერყო ლილით შეკრული. ძირს კაბა იყო მორთული თითქმის ერთი არშინის სიპრტყე ნაღოჭით ასხმული ქოქობოთი (აბორკით); ქოქობო ჭრელი, შეხამებული თითქმის შვიდივე ფერით ცისარტყელისა და ეს ფერები თვითეული ცალკე ოთხი თითის სიპრტყით უელიდა გარშამო კაბას. ერტყა სარტყელი ისევ შავისაგე შალისა, მისი ფოჩები გვერდზედ იყვნენ ჩამოშვებულნი. კაბის გულისპირი და საყელო მორთულები იყვნენ მაუდის ნაჭრებით, მძივებით, ვერცხლის ყაწმებით. ზემოდამ ეცვა ისევ იმნაირი შალის ჯუბა თითქმის სიურთუკულად, უფრო კი ფართოთ, გამოჭრილი; ჯუბა ჩანდა მორთული სხვა-და-სხვა ნაირი ზოგი ჭრელი ძაფისგან მოქსოვილი და ზოგი წითელი მაუდისაგან გამოჭრილი ფიგურებით. ბულზედ ეკიდა ოთხიოდ ფუნჯი მძივისა.

წაბლის ფერი ულშირესი თმა მრავალ ნაწნავებათ ჩახლართული შემორტყმოდა ქალს. თავზე თავზე იმგირგილივ ეხვია შავი წმინდა შალის მანდილი, რომლის ფოჩები ჩამოფენილიყვნენ მარცხნივ მხარზედ. ძალის წვრილ ფერთხ ჰფარავდნენ ჭრელი წინდები პაჭიჭებითურთ და ზედ სუფთა კოხტათ ჩახლართული ქალამნები.

თვითონ ქალი შუათანა ტანისა იყო; მისი სახე მრთლად თეთრ-წითლათ ღაღანებდა, თუმცა მოუელელობას ცოტაოდენი კვალი დაემჩნია იმისთვის (ეს კვალი უფრო ამშვენებდა იმას ჩემ თვალში); ზომიერი ნიკაპი, სუფთა ტუჩები, სუფთა ცხვირი; ხშირი, შუქი, წაბლის ფერი წარბ-წამწამი მოსჭროდნენ მის მრგვალ და სავსე სახეს. ამავე სახის სამკაულად წარმოიდგინეთ იმის ლოყებზე ორი მიმზიდველნი ნაჩერტნი, რომელიც ღიმილის დროს უკეთდებოდნენ მას.

ლაპარაკის დროს ნათელამ რამდენჯერმე აიხილა და გადმოანთო ჩემკენ თავისი ჭრელი, სიცოცხლით სავსე, თითქმის მღიმარე თვალები, თუმცა მალევე ჰფარავდა იგი მათ ჩემგან ხშიროვან წამწმის ტყით. ამ სურათმა თითქმის მიმიზიდა და თვალ-აუშორებლივ ჩავჩერებოდი იმას, რომელსაც ექნება მის ვამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან-და-თან უფრო ერეოდა დამამშვენებელი სიწითლე.....

—

— მე ვიცი, ჩემო ძმავ, ჩვენი ქალები თუ შინა სხედან და ეს ხევსურის ქალი კი მინდორში აღმეგს ღღეს, სილამაზე არ გაუცვალონ მას! მითხრა გზაზე ამხანაგმა.

—უთუოთ ეგ საწყალი ღარიბისა უნდა იყოს, თორემ საქონელს რად მოუყენებენ? უთხარ მე.

— ჰო, არც თუ მდიდარია, მაგრამ აქ მდიდრებიც და ღარიბებიც ეგრე იქცევიან, სირცხვილად მიაჩნიათ შინ უსაქმოთ ჯდომა.

— რათა, კაცო, ვინც შინ არის, განა ყველა უსაქმოთ არის? ხელსაქმე? სახლის მოვლა?

— ხელსაქმე მე ვიცი ქარგაზე ქსოვნა-კერვა უნდებათ; თუ ექნებათ რამე ამოსაჩხლართი, ეგრე მინდორში გააკეთებენ, როცა მოიცლიან; ტანისამოსს ეგენი საზოგადოთ ზამთარში ჰკერავენ და ჰქსოვენ. ოჰ, ნეტავ გიჩვენა ზამთარში თითო-თითო ხევსურის ქალი რომ ჩასჯდომია ქსელს და ერთგულად ჰპეჭავს!... ამათ ტანისამოსზე თითქმის სრულებით არ მიზდით ფული, სულ შინა ჰქსოვენ.

— ეგ ძრიელ მომწონს; საწყალი ჩვენი გლეხი სულ ტანისამოსისგან არის გაჩანაგებული; მაგრამ შალი ხომ ძრიელ გახეხავს, უთუოთ შიგნით პერანგებს იცმენ მიტკლისას, არა?

— პერანგებს? პერანგებს—კაცები იცმენ, რადგანაც იმათი ჩოხის შალი უფრო სხვილია, ქალები კი არ იცმენ პერანგებს.

— მართლა, ეგ შალის ტანისამოსი სამუშაოთ კი ძრიელ კარგი იქნება, არ დაიხევა მალე.

— მა რა ჩვენი ჩითები რომ ეცვათ, კვირაში ერთი კაბა მოუნდებოდათ; ვინ იცის რამდენ მუშაობენ ესენი; შინა საქმის გარდა ესენი მხარ-და-მხარ მიზდევენ კაცებს გარე საქმეშიაც: თივის აგროებაში, ზიდვაში, მკაში, მემრე რა მშვენიერი მკა იციან! ქალოში და ყველაფერშიაც...

— უსათუოთ ერთპირი ხალხი სცხოვრობს აქ. თორემ ქალის მინდორში მარტო სიარული....

— ჰო, აქ სულ ერთი ჩვეულების ხალხია და თუ ვინმე გაბედავს რასმე, მალე იგემებს ხანჯლის ცივ რკინას. აი მაგ ქალს ეელება თავს ერთი ყოჩაღი ბიჭი; მაგასაც მგონი უყვარს, მაგრამ, რადგან დედ-მამას არა ჰსურთ, ხელიც ვერ უხლია.

—

მზის ჩასვლის დრო იყო, როდესაც მივადექით ერთ ქვით-კირით ნაგებ სახლს და, გადმოვსხედით რა ცხენებიდგან, გამოვიდა ჯაღარ შერთული მღვდელი.

— მობრძანდით, მობრძანდით ბავიერ! რა მომაგონებდა, ძლიეს არ გაგიბედნიათ ჩვენი ნახვა!. . . . . .

მღვდლის სახლი სოფლის თავში იდგა. სოფელს აღმოსავლეთის და სამხრეთის მხრივ ჩამოუდიოდნენ ხევები; ერთი ხევიდამ მოისმოდა წისქვილის ბორბლისაგან ნაპობი წყალის ხმა. თითქმის ყველა სახლის ახლო მოჩანდა საბძელ-სახვავე და ახლოვე მდგომი თივის, ბურდოს ან გაულეწელი ნამუშავრის ზვინები.

სახლები დაბლები და თითქმის მიწასთან გასწორებულები იყვნენ, მხოლოთ წინ ფიცრულის დერეფნებს აეღოთ მაღლა თავი დაუნებურად წინაფეხებზე წამომდგარ ოთხფეხს მოგაგონებდათ. ზედ შუა ბანზე მოჩანდა დარბაზულად ნაგები საკომი თვისის განუშორებელი კუთვნილებით-საქარეთი *).

სახლების ახლოვე მოჩანდნენ პატარა ქოხები—ეს სამრეკლოები იყო. სამრეკლოები ყოფილან, როგორც გაეიგე შემდეგ, ერთი ალმაშფოთებელი და სამწუხარო მოვლენათაგანნი. აი რა დანიშნულება აქვთ იმათა აქ: თურმე მშობიარე დედაკაცი ძრიელ უწმინდურად მიაჩნიათ, ასე რომ არამც თუ იმისი მიკარება, ახლოს გავლაც კი სიწმინდის დარღვევაა მათთვის; „შერევა“ (როგორც ესენი ამ მიახლებას ეძახიან) დიდ საზიზღათ და უბედურებად სჩანთ. ამის გამო მოატანს თუ არა დიაცის მშობიერობის დრო, მაშინვე იმას გაიყვანენ სახლიდგან და ერთ ქოხში დაასახლებენ, აქვე მისცემენ სასმელ-საჭმელს. აქ ქალი მოიმშობიარებს მარტო; არც ბებია მათთვის და არც მომლელი დედაკაცი. სამ დღეს მაინც არის მშობიარე იმ ქოხში თავის ჩჩვილი ბალღით.

ცხადია უბედური შედეგები ამისთანა ჩვეულებისა: ხან დედაკაცი ვერ უვლის თავის თავს და ბაშეს და იხოცებიან ორნივ, ხან ცეცხლი გადაუარდებათ ჩალის საწოლში და იწვიან.... შემდეგ მშობიარე ამ ქოხიდამ სამრეკლოში გადადის, ქოხს კი სწვავენ. სამრეკლო უფრო სუფთა და მაგარი ოთახია. აქ, ვგონებ, მშობიარე რჩება ორმოცი დღე ისევ ისეთივე მარტოობაში. სამრეკლოშიეე გადიან ქალები რიგის (თვის წიდოვნების) დროს.

ცხადია ის, თუ რა საენებელია ამისთანა სიწმინდის ძებნა და მშობიარეს კარზე გაგდება ამისთანა გაჭირებაში. მმართებლობასაც ბევრჯერ თურმე აუკრძალავს ეს ჩვეულება. მაგრამ, ხომ იცით, რაც საუკუნეებს ხალხის გულში ჩაუნერგია, კარგია თუ ავი, იმის ამოფხვრა ერთბაშათ ძრიელ ძნელია...

—

ჩვენ სახლს შუა დღ იმ ხევისა, რომელიც სოფელს სამხრეთისკენ ჩამოუდიოდა, იდგა ერთი ქვით-კირით ნაგები

*) რადგანაც ბოლი უბუხროთ ამოდის სახლის შუაზედ გაკეთებული ჭერიდგან და ცოტა ნიავიც კი მისგამო ბოლსა უკანვე აბრუნებს, ამისთვის ხმარობენ ფიცარს, რომელსაც ქარის მხრივ ააყუდებენ ხოლმე. ამას მოსასაქრებელს ეძახიან.

კოშკი: ამას ეჭირა ხუთ კვადრატული არშინის ტოლი ალაგი, თუმცა კარგა მიღალი იყო, ზეიდამ ეხურა ფიცრის ყავრული. ზედ შენობის შუაში, ერთ საქენის სიმაღლეზედ მოჩანდა პატარა კარი, რომელშიაც ერთი კაცი ძლივ შეძვრებოდა. კოშკის ახლოვე იდგნენ ოთხნი ჩუქურთმით გაკეთებული მუხის ბოძები, ბოძებზე დამაგრებული იყო სპილენძის დიდი ხუფი, ზეიდამ დამშვენებული სამი ჯვარით, რომლებს შუა გაბმული იყო ვერცხლის ჯაჭვი. აქვე იდგა ერთი სახლი კარებ ამოქოლილი; სჩანდა აქ ეხლა აღარავინ სცხოვრებდა: შენობებს დაჰხვევიყო გარს შიუვალი შამბ-ნარი.—ნეტავ რა დანიშნულება ჰქონია ოდესმე ამ შენობაებს? ვკითხავდი ჩემს თავს.

ვ. ბ.

(ბაგრძელება შემდეგში)

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ბაზეთის „ტაიმსის“ სტამბოლელი კორრესპონდენტი გვაცნობებს დაწვრილებით ამბავს იმ რეფორმების შესახებ რომლის შემოღებასაც ოსმალეთი აპირებს ინგლისის რჩევით, მცირე აზიაში. ეს რეფორმები უმთავრესად სამს საგანს შეეხება: გადასახადს, ჟანდარმების წდაყენებასა და სასამართლოებს.

ბადასახადი მცირე აზიაში ათის თავის მაგივრად, მამულის სიერცის-და-გვარად იქნება დანიშნული.

ჟანდარმების უფროს აფიცრებად დაყენებული იქნებიან ინგლისის აფიცრები; თვითონ ჟანდარმები კი ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან იქნებიან ამორჩეულნი.

რაიცა შეეხება სასამართლოს, ოსმალეთი თანახმა არ არის, რომ ყოველ სასამართლოში იყოს ერთი ევროპიელი (ინგლისელი) წევრი-მოსამართლე, ურომლოთაც ამ სასამართლოს გარდაწყვეტილებას ძალა არ ექნებაო. ოსმალეთის მთავრობის პროექტით, ყველე სამოსამართლო მაზრაში იქნება თითო ევროპიელი რეფეზორი, რომელიც მხოლოთ ყურს უგდებს იმას რომ სასამართლომ კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტოს ყველა საქმეები (სადავო და სისხლის სამართლისა) და თუ გადასცდა კანონს, მხოლოთ მაშინ წარადგინოს ეს და იჩივლოს.

განცხადებანი

პარასკევს, 27 ოქტომბერს, ნემეცმების კლუბში, ქარიოული წარმოდგენის დროს დაიკარგა ქალის საზაფხულო პალტო ქაშმირისა. მნახველს სთხოვენ მოიტანოს „დროების“ რედაქციაში, რაისთვისაც მიეცემა ჯეროვანი ჯილდო. (3—2)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

გამგეობა მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით, ამა 1878 წლის 28 ნოენბერს, გამგეობაში, რომელიც არის ქ. ქუთაისს, თფილისის ქუჩაზედ, თავადის ნიჯარაძის სახლში, საზოგადო ვაჭრობით გაიყიდებიან უძრავნი მამულნი ქვემო მოხსენებულთა პირთა, ვადითი გადასახადთა, დაწესებულთა ბანკის წესდების §§ 31, 32 და 33-ის ძალით, მათ მიერ შემოუტანლობისა გამო:

ფერეთელთა, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს ძეთა, ვასილი სიმონის ძისა და შტაბს-კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა—20 დესიატინი და 1980 კვადრატული საჟენი სახნავი და სათიბი მიწა, სახელდობ „სარბევი“, მდებარე წინ-ველში ქუთაისის უეზდისა.

თავნი ვალი 2,000 მანეთი, შემოუტანელი გადასახადი 150 მანეთი.

მათივე—ორი ერთ-ეტაჟიანი სახლი,—ერთი ქვით-კირისა და მეორე ხისა, ეზოით, სახნავით, ვენახით და ტყითური, ზომით 4 დესიატინი და 300 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, ბაღის ქუჩაზე.

თავნი ვალი 6,560 მანეთი და 73 კოპ., შემოუტანელი გადასახადი 782 მანეთი და 80 კოპ.

ღოლაბერიძისა, გიორგი ბესარიონის ძისა, ოთხი ქვით-კირის ერთ-ეტაჟიანი დუქნები, ეზოთურთ, ზომით 276 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაის, მიხაილის ქუჩაზე.

თავნი ვალი 17,737 მანეთი და 64 კოპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 1,297 მანეთი.

ვაჭრობა დაიწყება ბანკისადმი ვალით, ზედდამატებით იმ ხარჯებისა, რომელიც ბანკს მოუხდა მამულის გასასყიდლად დანიშნვისამებრ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა შეუძლიათ განიხილონ გამგეობაში აღწერაები და საბუთები, რომელნიც გასაყიდელთა მამულთა შეეხებიან.

თუ პირველი ვაჭრობა არ გამოდგა, მაშინ დაინიშნება მეორე და უკანასკნელი—ამა 1878 წლის 14 ქრისტეშობისთვისათვის (§ 24).

მამულების მყიდველთა შეუძლიათ ბანკის ვალი თავის თავზე გადაიტანონ (§ 22).

(3—2)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

უ. ექვთიმე ხელაძის სტამბაში
იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
საქართველოს

კალენდარი

ქართველთა და სომეხთა
1879 წლისა.
ქართულის ქრონიკონით
35 წლისათვის
შედგენილი ი. ლიაძის მიერ
და გამოცემული
ექვთიმე ხელაძისაგან

დაიბეჭდა და ისყიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“

რომანი
ლავრენტი არდაზიანისა.
გამოცემული
ი. მელიქოვისა და ბ. ჩარკვიანისა.
ფასი 30 კაპეიკი.

ისყიდება

„კრებული“

1873 წლისა

ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში, კლუბს ქვეშ.

თფილისში; ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკკლესიის სახლში,

ფასი: №№ 3, 4, 7, 8, 9-ის თითოსი ხუთ-ხუთი შაური; №№ 5 და 6 ორივესი ერთად ათი შაური; № 10—ორი შაური; №№ 1 და 2 ცალკ-ცალკე არ ისყიდება, და მთელის წლის ათი ნომერი ღირს ხუთ მანეთად.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორ. . . .	11	55	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	51			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
უვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორ. . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, პეტერბურს, პარაშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 28 ოქტომბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევანისა, ფუთი .	6	50
—ამერიკისა, ფუთი . .	7	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	50
—მარაქამისა ფუთი . .	4	40
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	40
ქონის სანთელი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	81
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	20
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, ხაშურალო ფთ.	6	60

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე ღილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავად., ძიუნერიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ძიუნერიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 Октября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.